

მდინარე იორის იქთიოფაუნა: თანამედროვე მდგომარეობა და სახეობათა
მოწყვლადობის შეფასება

ანი გაბრიჭიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ბელა ჯაფოშვილი

თანახელმძღვანელი: დოქტორანტი გიორგი ეპიტაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი გაბრიჭიძე

სარჩევი

აბსტრაქტი.....	5
ცხრილების ჩამონათვალი	7
ილუსტრაციების ჩამონათვალი.....	7
1. შესავალი.....	8
1.2 კვლევის მიზანი და ამოცანა	12
2. კვლევის ობიექტი და მეთოდები	13
2.1 ლიტერატურის მოძიება	13
2.2 მდინარე იორის დახასიათება	16
2.3 სიონის წყალსაცავის დახასიათება	23
2.4 პალდოს წყალსაცავის დახასიათება.....	23
2.5. დალის წყალსაცავის დახასიათება.....	24
2.6. მასალა და მეთოდები.....	25
3. კვლევის შედეგები და მათი განხილვა.....	28
3.1 მდინარე იორის თევზების სახეობრივი მრავალფეროვნება.....	28
3.2 მდინარე იორის თევზები ზემო აუზში (სიონის წყალსაცავის ზემოთ არსებული მონაკვეთი)	30
3.3 სიონის წყალსაცავის თევზები.....	31
3.4 იორის თევზები სიონის და პალდოს წყალსაცავებს შორის არსებულ მონაკვეთზე.....	33

3.5 იორის თევზები შუა წელზე (პალდოს და დალის წყალსაცავებს შორის არსებული მონაკვეთი)33

3.6 დალის წყალსაცავის თევზები.....34

3.7 იორის თევზები ქვემო აუზში (დალის წყალსაცავის ქვემოთ არსებული მონაკვეთი).....35

3.8 იორის აუზში გავრცელებული ადგილობრივი თევზების თანამედროვე მდგომარეობა.....39

4. დასკვნა და მსჯელობა53

მადლობა55

გამოყენებული ლიტერატურა.....56

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია, მდინარე იორის აუზში განხორციელებული იქთიოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც აღწერს მდინარე იორის და მასზე არსებული წყალსაცავების იქთიოფაუნას, სახეობრივ მრავალფეროვნებაზე მოქმედ ფაქტორებს. აღნიშნულ თემაზე კვლევა მიმდინარეობდა 2021-2022 წლებში, მდინარე იორზე, მის ძირითად შენაკადებზე და იორზე აგებულ წყალსაცავებზე. კვლევის შედეგად დავადგინეთ, იორის აუზში გავრცელებული თევზების სახეობრივი შემადგენლობა და მათზე მოქმედი ფაქტორები. მდინარე იორიდან და მასზე არსებული წყალსაცავებიდან მოპოვებული მონაცემების მიხედვით, ჯამში გამოიკვეთა 26 თევზის სახეობა, საიდანაც 7 სახეობა ინვაზიური/ინტროდუცირებულია, ხოლო 19 ადგილობრივი. ადგილობრივი სახეობებიდან, კასპიური ნაკადულის კალმახი - *Salmo caspius* Kessler, 1877 და წინააზიური გველანა - *Sabanejewia aurata* (De Filippi, 1863) შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი სახეობები. კვლევის შედეგად იორში დავაფიქსირეთ, საქართველოს წყალსატევებისთვის ახალი ინვაზიური სახეობები: კორეული კარპი - *Hemiculter leucisculus* (Basilewsky, 1855) და ამურის ღორჯო - *Rhinogobius lindbergi* Berg, 1933. ნაშრომში აღწერილია, ადგილობრივი სახეობების გავრცელება/განაწილება მდინარის გარკვეულ მონაკვეთებზე, შეფასებულია მათი მოწყვლადობა და ის საფრთხეები რომლებიც მოქმედებენ მათ პოპულაციებზე. აღნიშნული კვლევა გვამლევს იმის საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნა, თუ რა გავლენას ახდენენ გასული საუკუნის პერიოდში აშენებული წყალსაცავები მდინარის იქთიოფაუნაზე და მათ სახეობრივ შემადგენლობაზე, რომლებსაც არ გაჩნიათ თევზსავალი და გადაულახავ ბარიერებს უქმნიან მასში მობინადრე სახეობებს.

Abstract

The master thesis presents the results of an ichthyological study in the Iori River Basin, which describes the ichthyofauna, species diversity and factors affecting on the Iori River and its reservoirs. Research on this topic was conducted in 2021-2022, on the Iori river mainstream, its main tributaries and reservoirs built on the river. The study identified the fish species composition in the Iori Basin and the factors affecting them. According to the data obtained from the Iori and its reservoirs, a total number of fish species was 26, from which 7 species are invasive / introduced, and 19 natives. Among the native species - *Salmo caspius* Kessler, 1877 and *Sabanejewia aurata* (De Filippi, 1863) included in the Red List of Georgia as vulnerable species. As a result of our research, we have identified new invasive species for Georgia, Korean sharpbelly - *Hemiculter leucisculus* (Basilewsky, 1855) and Amur goby - *Rhinogobius lindbergi* Berg, 1933. The study describes the distribution of local species in certain sections of the river, assesses their vulnerability and the threats to their populations. This study allows us to make a conclusion about the impact of reservoirs built on the Iori during the last century on its ichthyofauna and species composition, which do not have a fish pass and create insurmountable barriers for the species living there.